სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/119 15-11. 2022 წ.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი;
2. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი დაეფუძნოს კოლაბორაციულ პრინციპს და პრიორიტეტებად განისაზღვროს:

- ✓ საქართველოს ან უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორის და/ან ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ჩართულობა;
- ✓ თანადაფინანსება.

3. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები, პროექტის შეფასების კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი"-ს შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილებით;
4. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2023 წლის 9 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით, 10^{00} სთ.-დან 16^{00} სთ.-მდე, მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59, აწსუ-ს XXII (საბიბლიოთეკო) კორპუსი, აუდ. №22-204 (საკონკურსო დოკუმენტაციას სარეგისტრაციოდ წარადგენს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი);
5. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტი განისაზღვროს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფინანსური რესურსების ფარგლებში;
6. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტიდან საგრანტო პროექტით მოთხოვნილი დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს არაუმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფინანსური რესურსების ფარგლებში;
7. საპროექტო განაცხადის დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD), რომელიც ელექტრონულად აიწყობა Word-ს დოკუმენტში, A4 ფორმატის ფურცლის ზომებში, არე მარცხნიდან - 3 სმ, ზევიდან - 2 სმ, ქვევიდან - 2 სმ და მარჯვნიდან - 2 სმ. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.15 (Single), სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; დოკუმენტის შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12;
8. პროექტების შეფასება შიდასაფაკულტეტო კომისიის მიერ განხორციელდეს 2023 წლის 16-17 იანვარს. **2023 წლის 18 იანვარს** გამოცხადეს კონკურსის **პირველი ეტაპის** შედეგები;
9. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2023 წლის **20 იანვარი.** აპელაციის შედეგები **გამოცხადდეს 23 იანვარს.** სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი;
10. კონკურსის პირველი ეტაპის საბოლოო შედეგების მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტების შეფასება განხორციელდეს 2023 წლის 24-27 იანვარს. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები გამოცხადდეს 2023 წლის 30 იანვარს;
11. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2023 წლის 31 იანვარს (სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი);
12. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2023 წლის 2 თებერვალს;
13. გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2023 წლის **3 თებერვალს;**
14. გამარჯვებული საგრანტო პროექტ(ებ)ის განხორციელება დაიწყოს 2023 წლის **6 თებერვლიდან;**

15. კონკურსის შესახებ ინფორმაცია („სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი", „პროექტის სააპლიკაციო ფორმა" და „პროექტის ბიუჯეტის ფორმა") გამოქვეყნდეს აწსუ-ს ვებგვერდზე (http://atsu.edu.ge) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი:

- ✓ ბიზნესის, სამართლისა და სოცილაურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომის №5.
- ✓ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილება.

რექტორი: **პროფესორი, როლანდ კოპალიანი**

დეკანი: **პროფესორი, ნანა შონია**